სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 228 ხელშეკრულება

ქ.თბილისი

22.04.2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის უფროსის ვ/პ-კი კონსტანტინე პეტრიაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „პსპ-ფარმა“ შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ოქრიაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები,“ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული წესის "კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" და „2019 წლის განმავლობაში ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 20018 წლის 4 დეკემბრის №2297 და „2019 წლის განმავლობაში ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის N2297 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N47 განკარგულებების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

„ხელშეკრულებაში“ გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „სატენდერო კომისია“ (შემდგომში „კომისია“) - ფარმაცევტული პროდუქტების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისია;

1.2. „სატენდერო დოკუმენტაცია“ - (CON190000078) კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **შემსყიდველის „სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის“** მიერ მედიკამენტების (CPV33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) კონსოლიდირებული ტენდერის (CON190000078) საშუალებით შესყიდვა.

2.2. საქონლის დეტალური აღწერა, რაოდენობა, ტექნიკური მახასიათებლები და ღირებულება, რომელიც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ტენდერში (CON190000078), თან ერთვის ხელშეკრულებას N1 დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. საქონლის ვარგისიანობის პირობები

3.1. მედიკამენტების ვარგისიანობის ვადა მისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან შეადგენს არანაკლებ 12 (თორმეტი) თვეს.

3.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდული საქონელი მისი ექპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

3.3. საქონლის მიწოდების შემდეგ, ხარვეზის ან/და წუნდებნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი ან/და გამოცვალოს დაზიანებული საქონელი ახლით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1 610,20 (ათას ექვსას ათი ლარი და 20 თეთრი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმოწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. საქონლის მოწოდების პირობები

5.1. **საქონლის მიწოდების ვადა:**

5.1.1. 5.1.1. საქონლის მიწოდების ვადაა 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.3. **საქონლის მიწოდების ადგილი:**

5.3.1. საქონლის მიწოდების ადგილები მოცემულია ხელშეკრულების N2 დანართში.

5.3.2. საქონლის მიწოდების ადგილის ცვლილება შესაძლებელია შემსყიდველთან შეთანხმებით.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი.

6.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

6.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: ადმინისტრაციის უფროსი და ლაზარეთის უფროსი.

7. ანგარიშსწორება

7.1. საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტა - ლარში.

7.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდების თაობაზე მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

8.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

8.1.1. საკუთარი ხარჯებით, უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შეუფერხებლად მიწოდება; ამასთან, იგი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და საქონელი იქნება მიწოდებული სათანადო მდგომარეობაში, შეფუთვა არ იქნება დაზიანებული, ხოლო წარწერები საქონელსა და ეტიკეტებზე იქნება კითხვადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8.1.2. დროულად განიხილოს ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილი პრობლემები და მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

8.1.3. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

8.1.4. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებს საქონლის მიწოდებას დროულად, გულისყურით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, აცნობოს მას შეფერხების მიზეზი და შექმნილი პრობლემის აღმოფხვრის საბოლოო ვადა.

8.1.5. მჭიდროდ ითანამშრომლოს შემსყიდველთან საქონლის მიწოდების განრიგის, სიხშირის, მიწოდების ადგილისა და თითოეულ მისამართზე მისაწოდებელი პროდუქტის რაოდენობის დაზუსტების მიზნით.

8.1.6. უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციითა და შემსყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

8.1.7. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმწოდებელს არ აქვს უფლება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები განახორციელოს ქვეკონტრაქტორის მეშვეობით, სანამ ამის თაობაზე წერილობით არ აცნობებს კომისიას. ამასთანავე, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ, კომისიის წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლება–მოვალეობანი.

8.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

8.2.1. დაიცვას მიწოდებულ პროდუქციის ეტიკეტზე დატანილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროდუქციის შენახვის წესები.

8.2.2. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2.3. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2.4. შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

8.2.5. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

8.3. **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

8.3.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება.

8.4. **შემსყიდველს უფლება აქვს:**

8.4.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას შემსყიდველი უფლებამოსილია აღნიშნული ფაქტი შესაბამისი დასაბუთებით აცნობოს კომისიას.

9. ხელშეკრულების ინსპექტირება

9.1. „კომისია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობებისა და „სატენდერო დოკუმენტაციის“ მოთხოვნების შესრულების ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელებაში.

9.2. <u>ინსპექტირების განამახორციელებელი პირ(ებ)ის უფლება-მოვალეობები:</u>

9.2.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით და „სატენდერო დოკუმენტაციით“ ნაკისრი ვალდებულებების ხარისხისა და მიწოდების ვადების სატენდერო მოთხოვნებთან და ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლის/ზედამხედველობის განხორციელება.

9.2.2. თუ შემსყიდველს ან/და „კომისიას“ გაუჩნდება გონივრული ეჭვი შემოთავაზებული/მიწოდებული ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხთან ან/და შემადგენლობასთან დაკავშირებით, იგი უფლებამოსილია, შეატყობინოს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ და მათი მეშვეობით, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, შეამოწმოს ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორების მიერ

ფარმაცევტული პროდუქტის მიკვლევადობისთვის დადგენილი წესებისა და შენახვის პირობების დაცვის მდგომარეობა ან/და ნიმუშად აიღოს ფარმაცევტული პროდუქტი შემდგომი ლაბორატორიული კვლევის ჩასატარებლად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს „კომისიას" წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია წერილობით აცნობოს „კომისიას" აღნიშნული გარემოება.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით.

12.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს მხარის მიერ მეორე მხარისადმი გაგზავნილ შესაბამის წერილში მითითებული ვადიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

12.3. საჯარიმო სანქციების გადახდა მხარე(ებ)ს არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მე-16 მუხლის გათვალისწინებით და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს გადახდა.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. თავის მხრივ, შეტყობინების მიმღები მხარე უფლებამოსილია გონივრულ ვადაში აცნობოს მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

14.2. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი და მიწმოდებელი ვერ შეთანხმდებიან სადაო საკითხ(ებ)ის მოგვარების შესახებ, შეუძლიათ წერილობით მიმართონ „კომისიას".

14.3. სადაო საკითხ(ებ)ის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეებმა კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა/გასვლა

15.1. ხელშეკრულება წყდება ავტომატურად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

15.2.1. ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

15.2.2. ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად და მხოლოდ „კომისიის" თანხმობით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

15.2.3. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე: pharm2019@spa.gov.ge

15.2.4. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

15.3. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	შპს „პსპ-ფარმა“
საიდენტიფიკაციო კოდი: 218083222 იურ. მის.: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3კმ. ფაქტ. მის.:ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3კმ. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი - TRESGE22	საიდენტიფიკაციო კოდი: 202203123 იურ. მის.: დმანისი ცურტაველის 54 ფაქტ. მის.:ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 148/3 საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება: ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE26TB0677136020100007
ადმინისტრაციის უფროსი ვ/პ-კი კონსტანტინე პეტრიაშვილი	*დირექტორი: ვაჟა ოქრიაშვილი*

LEPL DAVID AGMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

Digitally signed by LEPL DAVID AGMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
Date: 2019.04.22 17:28:31 +04'00'

PSP PHARMA LLC

Digitally signed by PSP PHARMA LLC
Date: 2019.04.22 17:54:55 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 138 ხელშეკრულების
დანართი N1

ქ.თბილისი

19.04.2019 წელი

#	საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება/მოქმედი ნივთიერება	დასახელება	წარმოების ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია	დოზა	ფორმა	ნუმერუსი	დაფასოება / შეფუთვა	ჯამური რაოდენობა	რაოდენობის ერთეული	ერთეულის ფასი	ვალუტა	ჯამური ღირებულება
1	Butylscopolamine (Hyoscine buty bromide)	ბუსკოლი ზინი ამპ. 20მგ/მლ N10	ბულგარეთი	Sofarma	20მგ/მლ 1მლ	ამპულა	10	კოლოფი	10	ცალი	1,38	ლარი	13,80
2	Carbon activatis	ნახშირი ტაბ. 0.25 N10	რუსეთი	ურალბიოფარმი	250მგ	აბი	10	კოლოფი	3 000	ცალი	0,01	ლარი	30,00
3	comb. drug (Aluminum Hydroxide,Benzocaine,Magnesium Hydroxide)	ალმაგელი A 170მლ	ბულგარეთი	Balkanpharma-Troyan	170მლ	სუსპენზია	1	ფლაკონი	5	ცალი	4,53	ლარი	22,65
4	comb. Drug (Belladonnae,Valerianae,Menthae,Absinta)	ზელენინას წვეთები 25მლ ფლ	საქართველო	ნეოფარმი	comb. drug	ფლაკონი	1	ფლაკონი	5,00	ცალი	1,07	ლარი	5,35
5	comb. drug (Lipase,Amylase,Protease)	მეზიმ ფორტე დრაჟე 3500ერთ N20	იტალია	A.Menarini Manufacturing L.S.	3500ერთ+4200ერთ+250ერთ	აბი	20	კოლოფი	2 000,00	ცალი	0,18	ლარი	360,00

6	comb. drug (Magnesium Hydroxide,Aluminium Hydroxide)	მაალოქსი 800მგ ტაბ.N40	იტალია	Sanofi-Aventis (Italy)	400მგ/ 400მგ	აბი	40	კოლოფი	1 200	ცალი	0,22	ლარი	264,00
7	comb. drug (Sodium citrate,Potassium chloride,Glucose anhydrous,Sodium chloride)	რეჰიდრო ფორტე პაკ.ფორთ ოხალიN10	გერმანია	GMP (Welt Pharma)	18.9გრ	პაკეტი	10	კოლოფი	400	ცალი	0,65	ლარი	260,00
8	Diosmectite	სმექტა პაკ.N1	საფრანგეთი	Beaufour Ipsen	3გრ	პაკეტი	1	კოლოფი	100	ცალი	0,50	ლარი	50,00
9	Domperidone	მოტილიუმი ტაბ. 10მგ N30	საფრანგეთი	Janssen-Cilag (France)	10მგ	აბი	30	კოლოფი	300	ცალი	0,28	ლარი	84,00
10	Extract Sennae	სენადექსინი ნეო ტაბ.N10	საქართველო	ნეოფარმი	0.07გ	აბი	10	კოლოფი	300	ცალი	0,03	ლარი	9,00
11	Omeprazole	ომეზი კაფს. 20მგ N10	ინდოეთი	Zee Laboratories	20მგ	კაფსულა	10	კოლოფი	5 000	ცალი	0,05	ლარი	250,00
12	Simethicone	ესპუმიზანი კაფს. 40მგ N25	გერმანია	Berlin-chemie (Germany)	40მგ	კაფსულა	25	კოლოფი	1 250	ცალი	0,18	ლარი	225,00
13	Famotidine	კვამატელი (ფამოტიდინი)40მგ N14	უნგრეთი	GR	40მგ	აბი	14	კოლოფი	70	ცალი	0,52	ლარი	36,40

შემსყიდველი სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	მიმწოდებელი შპს „პსპ-ფარმა“
საიდენტიფიკაციო კოდი: 218083222	საიდენტიფიკაციო კოდი: 202203123
ადმინისტრაციის უფროსი *ვ/პ-კი კონსტანტინე პეტრიაშვილი*	*დირექტორი:* *ვაჟა ოქრიაშვილი*

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 138 ხელშეკრულების
დანართი N2

ქ. თბილისი

19.04.2019 წელი

N	მისამართები	მიწოდების სიხშირე (სავარაუდო)
1	ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3კმ.	ეტაპობრივად (მოთხოვნიდან 3 კალენდარული დღე)
2		
3		
4		

შემსყიდველი
სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

საიდენტიფიკაციო კოდი: 218083222

ადმინისტრაციის უფროსი
ვ/პ კი კონსტანტინე პეტრიაშვილი

მიმწოდებელი

შპს „პსპ-ფარმა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 202203123

დირექტორი:
ვაჟა ოქრიაშვილი

ვადასტურებ, რომ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

შესყიდვების განყოფილების უფროსი — გიორგი ჯაგაშვილი

შესყიდვების განყოფილების უფროსის მოადგილე — არჩილ ცეცხლაძე

ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსი — გიორგი მინდიაშვილი

ლაზარეთის უფროსი — ვ/პ-კი პაატა ფაცინაშვილი